

**მისი უწმიდესობა პაპი იოანე პავლე II-ის წერილი
კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორს
პოლიკლინიკა „კაცთა მაცხოვრის“ გახსნასთან დაკავშირებით**

ჩემს პატივცემულ ძმას, ჯუზეპე პაზოტოს
კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორს

1. „კაცთა მაცხოვრის“ პოლიკლინიკის გახსნის სასიხარულო მოვლენასთან დაკავშირებით, მსურს წინამდებარე გზავნილის მეშვეობით გამოვხატო ჩემი სულიერი ყოფნა თბილისში, აღნიშნული მოვლენის აღსანიშნავად შეკრებილთა შორის. სიყვარულით მოგესალმებით, უწინარეს ყოვლისა, თქვენ, პატივცემულო ძმაო. დიდად ვაფასებ იმ გულმოდგინებასა და თავდადებას, რომლითაც თქვენს სამრევლო მსახურებას ეწეით, და მოგიწოდებთ კვლავაც სახარებისეული სიყვარულით და ეკუმენური გახსნილობით წარმართოთ თქვენდამი მინდობილი მისია. ასევე მივესალმები და გულმოდგინე საეკლესიო მსახურებისთვის მადლობას ვუძღვნი თქვენს გვერდით მოღვაწე მღვდლებს და ბერ-მონაზვნებს.

პატივისცემით მივესალმები მის უწმიდესობას ილია II-ს, საქართველო მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქს, რომელსაც ვუძღვნი წმინდა სამშვიდობო აშშ-ს, დასტურად ჩვენი ერთობლივი ვალდებულებისა დავემოწმით ღმერთის სიყვარულს და მტკიცედ ვიაროთ სრული ერთიანობისკენ მიმავალ გზაზე ჩვენი საერთო უფლის, იესო ქრისტეს მოწაფეთა შორის. ყველას კარგად მოგვეხსენება თუ როდენ მნიშვნელოვანი და საშური, რომ ჩვენს რელიგიური გულგრილობისა ზნეობრივი გზააზნეულობის ხანაში ქრისტეს მორწმუნენი ერთად დაემოწმონ რწმენას და ყველას აჩვენონ პატიოსნებისა და მოძმეთა სასიკეთოდ თანამშრომლობის მაგალითები.

2. ასევე მსურს პატივისცემით მივესალმო საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც ამ წლების განმავლობაში არაერთხელ მაცნობა ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი ქართველი ერის გასაჭირი და მთხოვა გამომეჩინა ყურადღება, გაგება და თანადგომა.

მსურს განსაკუთრებული სიყვარულით მივესალმო აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით ჩამოსულ დელეგაციებს - აღმოსავლეთ ეკლესიათა კონგრეგაციიდან, რომელმაც პოლიკლინიკის მშენებლობას მხარი დაუჭირა, იტალიის კარიტასიდან, რომელმაც პროექტს ქმედითი ფინანსური დახმარება აღმოუჩინა, კამილელთა ორდენს, რომელმაც ხალისით იკისრა პროექტის გაძღოლა და და ზედამხედველობა. ყველა ამ ადამიანის ჩამოსვლა ნათლად მეტყველებს კათოლიკური ეკლესიის დაინტერესებასა და ზრუნვაზე ქართველი მორწმუნეებისადმი, აგრეთვე იმ მეგობრულ დამოკიდებულებასა და პატივისცემაზე, რომლითაც ყველა მათგანი ეპყრობა ქართველ ხალხს, რომელმაც შეძლო საუკუნეების მანძილზე და სისხლის ფასად შეენარჩუნებინა ქრისტიანული რწმენა. ეს ერთგულება ქართველებმა გამოხატეს ხელოვნების უამრავ ნიმუშში, რომლებიც წარმოგვიჩენენ თუ რა ღრმად გაიდგა ფესვები ქართულ მიწაზე სახარებისეული ცნობის თესლმა. მართლაც, ქრისტიანული კულტურა და სულიერება ქართველი ერის იდენტობის არსებით მახასიათებლად იქცა.

3. ჩემი სურვილია, რომ აღნიშნული პოლიკლინიკა, რომელიც სულ მალე გაიხსნება, იქცეს ხელშესახებ ნიშნად ქართველებისადმი ჩემი სიახლოვის და სიყვარულისა. იმედი მაქვს, იგი იქცევა იმ დიდი სიყვარულის გამოხატულებად, რომელიც ქრისტეს მორწმუნეებმა უნდა

გამოიჩინონ ტანჯულთა მიმართ. ქრისტიანებმა იციან, რომ უფალი მათ ავალებს მზრუნველობით აღსავსე მსახურებას, აღბეჭდილს სახარებისეული სტილით და ასახულს მათ სახეზე, ხელებსა და გულში, ვინც, კეთილი სამარიელის მსგავსად, ტანჯული ადამიანის სასთუმალთან დახრილა. სიყვარულის ყოველი ამგვარი ჟესტი იქცევა ღვთის გულმოწყალების ცოცხალ და მანუგეშებელ გამოხატულებად, რომელიც ადამიანს ტკივილს დაუამებს და სიხარულსა და სულიერ სიმშვიდეს მოჰგვრის.

ამიტომაც, იმედი მაქვს, რომ ამ სოციალურ-სამედიცინო სტრუქტურის ყველა პაციენტი იპოვის აქ გულისხმიერებასა და პროფესიონალიზმს, კერძოდ, პატივისცემას მისი ადამიანური ღირსების მიმართ, ვინც არ უნდა იყოს იგი, რადგან ყოველი ადამიანი ღმერთის ხატად და მსგავსადაა შექმნილი. ამ სახარებისეული გადმოსახედიდან, რეგიონის უპოვარი, ობოლი თუ ასაკოვანი პაციენტები დახმარებას სრულიად უფასოდ მიიღებენ.

4. ახლა კი, მსურს მივმართო იმ ახალგაზრდებს, რომლებიც იმავე დღეს, 4 აპრილს თქვენს ირგვლივ შეიკრიბებიან ახალგაზრდობის მსოფლიო დღის აღსანიშნავად. ძვირფასო ახალგაზრდებო, გახსოვდეთ, რომ რწმენისა და სახარებისეული თანმიმდევრულობის განმტკიცება გულისხმობს ისეთ სამოქალაქო და სათნოებათა განმტკიცებასაც, როგორცაა პატიოსნება, სამართლიანობა, ქონების კეთილსინდისიერად განკარგვა, გამჭვირვალობა, კომპეტენტურობა - თვისებებს, დღეს რომ აგრერიგ სჭირდება ქვეყანას. გაბედულად მიჰყევით იესოს თქვენს ყოველ არჩევანში! დაე, იგი იყოს თქვენი ერთადერთი უფალი და თქვენი მომავლის ჭეშმარიტი იმედი. ნუ შეუშინდებით სირთულეებს: მაღალი მიზნები არაერთი მსხვერპლითა და შეუპოვრობით მიიღწევა.

დაბოლოს, ჩემს ფიქრს მივაპყრობ ახალშენის მოსახლეობას, რომელიც ისევდაისევ 4 აპრილს იზეიმებს ახალი ეკლესიის კურთხევას. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს ლამაზი და მყუდრო შენობა, ნაყოფი ერთობლივი ძალისხმევით, ყოველდღიური შრომისა და თავდადებისა, ყველა ქრისტიანს დღენიადაგ შთააგონებს, რომ, თანახმად პეტრე მოციქულისა, თავადაც იქცნენ „ცოცხალ ქვებად“ იმ სულიერი შენობისა, რომლის „ქვაკუთხედიც“ ქრისტეა (შდრ. 1 პტ 2: 4-6).

5. ამ გრძნობებით, მოვუხმობ თქვენზე, პატივცემულო ძმაო, და ყველა ხსენებულ პირზე, უფლისეულ ლოცვა-კურთხევას. დაე, ღმერთმა, ჩვენმა ზეციერმა მამამ, ნეტარი ქალწულის, წმინდა ანდრია მოციქულის, წმინდა ნინოს, წმინდა ქეთევანისა და წმინდა წამებულთა, საქართველოს ბერ-მონაზონთა და მოძღვართა მეოხებით, მოჰმადლოს მშვიდობა და კეთილდღეობა ამ ზეცით კურთხეულ, თვალწარმტაცი ხედებით, ნაყოფიერი მიწითა და მის მკვიდრთა რწმენით დაჯილდოებულ მხარეს!

დაე, უფალმა მოჰგვაროს და განუმტკიცოს ყოველ ადამიანს უკეთესი ხვალისდელი დღის იმედი და სურვილი ყოველდღიური ძალისხმევით მისი მოპოვებისა.

ვატიკანიდან, 25 მარტი, 1998 წ.